ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტის, ინგლისური ფილოლოგიის კათედრის ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე, (კატეგორია "გ", ინგლისური ლიტერატურა) სამსახურში მისაღებად რექტორის 2021 წლის 13/05 ბრძანების N:: 64/01-01 საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24/05 N40/2021 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

ოქმი №4 (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი "25"ივნისი , 2021 წ.

13:00 საათი, თსუ შექსპირის შემსწავლელი ცენტრი

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან 5 წევრი.

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტის, ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე (ინგლისური ლიტერატურა, ასისტენტ პროფესორი, კატეგორია "გ") სამსახურში მისაღებად რექტორის 2021 წლის 13/05 ბრძანების N:: 64/01-01 საფუძველზე გამოცხადებული გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, პროფ. თემურ კობახიძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტის, ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე (ინგლისური ლიტერატურა, ასისტენტ პროფესორი, კატეგორია "გ") სამსახურში მისაღებად საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა - დოქტორმა თამარ გელაშვილმა.

შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №2). გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №3). გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) დაუჭირა მხარი თამარ გელაშვილის კანდიდატურას.

დაადგინეს: ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი, ინგლისური ფილოლოგიის კათედრის (ინგლისური ლიტერატურა, კატეგორია "გ") ასისტენტ პროფესორის 1 საშტატო ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა: **თამარ გელაშვილი**

კომისიის თავმჯდომარე:	თსუ პროფ. თემურ კობახიძე
მოადგილე:	თსუ ასოც. პროფ. რუსუდან დოლიძე
წევრები:	თსუ ასოც. პროფ. დავით მაზიაშვილი
	კავკასიის უნივერსიტეტის ასოც. პროფ. ქეთევან გრელიძე
კომისიის მდივანი:	თსუ ასისტენტ. პროფ. ლელა ებრალიძე

თარიღი: 25 ივნისი, 2021